ტურიზმის განვითარების ბარიერები და თემზე დაფუძნებული ტურიზმი ჯავახეთის მხარის მაგალითზე

მარიამ დგებუაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ტურიზმის მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატალია ბახტაძე-ენგლენდერი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ დგებუაძე



03.07.2021

აბსტრაქტი

ჯავახეთი ტურისტული რესურსების სიმრავლით ერთ-ერთი გამორჩეული მხარეა საქართველოში. მიუხედავად ამისა, სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით არეალში ტურიზმი ნაკლებად არის განვითარებული. ტერიტორიის ტურისტული რესურსების გათვალისწინებით იკვეთება თემზე დაფუძნებული ტურიზმის სახეობების - ეკოტურიზმისა და აგროტურიზმის განვითარების პოტენციალი. ნაშრომში განხილულია თემზე დაფუძნებული ტურიზმის განვითარების ბარიერები. ადგილობრივი თემი წარმოდგენილია როგორც ტურისტული სერვისების მომწოდებლები, რომლებიც გარდა იმისა რომ ვიზიტორებს სთავაზობენ სხვადასხვა ტურისტულ მომსახურეობებს აცნობენ ადგილობრივ კულტურასა და ყოფა-ცხოვრების სტილს.

თემზე დაფუძნებული ტურიზმის ბარიერების იდენტიფიცირებისათვის ჩატარდა პირველადი და მეორეული კვლევა. თეორიული და პრაქტიკული შედეგების ანალიზით მოხდა საბოლოო დასკვნების გამოტანა. მეორეული კვლევის ფარგლებში განხორციელდა თემის ირგვლივ არსებული წერილობითი წყაროების გაცნობა, პირველადი კვლევა კი წარიმართა ტურისტულ სააგენტოებთან და არსებულ სერვისის მომწოდებლებთან თვისობრივი კვლევის მეთოდით.

კვლევის შედეგად ჯავახეთის ორივე მუნიციპალიტეტში იდენტიფიცირდა სხვადასხვა ტურისტული სერვისები, თუმცა მათი სტანდარტები არ შეესაბამება საერთაშორისო მოთხოვნებს, ხოლო არეალის ზოგადი მოცემულობით გამოიკვეთა რიგი პრობლემებისა რომელიც ხელს უშლის ტურიზმის აღნიშნული მიმართულების განვითარებას. პრობლემათაგან უმთავრესია ცნობადობისა და ენის ბარიერის საკითხი, ასევე კომუნიკაციისა და მოტივაციის ფაქტორი. არსებული ტურისტული სერვისები საჭიროებენ ხარისხის ამაღლებას ხოლო არეალში საჭიროა დივერსიფიცირებული ტურისტული პროდუქტების განვითარება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: თემზე დაფუძნებული ტურიზმი, ტურიზმი ჯავახეთში, ეკოტურიზმი ჯავახეთში, მდგრადი ტურიზმი, ტურისტული სერვისები ჯავახეთში, ტურიზმი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ტურიზმი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში.

Abstract

Javakheti is one of the most distinguished regions in Georgia with a diversity of tourist resources. Nevertheless, according to statistics, tourism in the area is less developed. Considering the tourist resources of the area, the potential for the development of community-based types of tourism - ecotourism and agritourism - is evident. The master thesis discusses the barriers to the development of community-based tourism. The local community is represented as a tourism service provider that, not only offers visitors a variety of tourism services, it also introduces them to the local culture and lifestyle.

Primary and secondary research was conducted to identify barriers to developing community-based tourism. The analysis of theoretical and practical results led to the final conclusions. The secondary research was based on the written sources available around the topic, while the primary research was conducted with travel agencies and existing service providers using a qualitative research method.

As a result of the research, different tourism services were identified in both municipalities of Javakheti, but their standards do not meet international requirements, and the general data of the area revealed a number of problems that hinder the development of community-based tourism. The most important problems are the issue of awareness and language barrier, as well as the factor of communication and motivation. Existing tourism services need to improve the quality and diversified tourism products need to be developed in the area.

Keywords: Community-based tourism, tourism in Javakheti, ecotourism in Javakheti, sustainable tourism, tourist services in Javakheti, tourism in Akhalkalaki Municipality, tourism in Ninotsminda Municipality.

მადლობა

დიდი მადლობა სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს, ნატალია ბახტაძე-ენგლენდერს, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ნაშრომის თემატიკისა და მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებაში, ნაშრომის კვლევის დიზაინის შექმნასა და კვლევის ჩატარებაში. გარდა სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში დახმარებისა მისი წვლილი დიდია პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ მხარდაჭერაში. მადლობა გაზიარებული გამოცდილებისა და ცოდნისთვის.